

ბიოლოგიურ მემკვიდრეობათა ასოციაცია

"ელკანას" წიგნთა

IV მრეწობის

ტ მ მ მ

**ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანას" წევრთა
IV ყრილობა**

2002 წლის 7 დეკემბერს ჩატარდა ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანას" წევრთა IV ყრილობა. ყრილობას ესწრებოდნენ ასოციაციის წევრები (81 წევრი, 150 ხმის უფლებით) და მოწვეული სტუმრები (16, ხმის უფლების გარეშე).

ღლის წესრიგი:

11.00-12.00	რეგისტრაცია
12.00-12.10	გახსნა - ნანა ნემსაძე
12.10-12.40	გამგეობის ანგარიში - დევი გამრეკელი
12.40-13.30	საფრანგეთის პრაქტიკის ანგარიში - გოჩა ცხადაია, ლაშა ღლონტი, ჯაბა ჭეიშვილი შეკითხვები/დისკუსია
13.30-14.00	შესვენება (ჩაი-ყავა)
14.00-15.0	ელკანას სამოქმედო პროგრამა შემდეგი სამი წლისათვის - თამაზ დუნდუა შეკითხვები/დისკუსია
15.00-15.30	ინფორმაცია ბაზრობის შესახებ - ირაკლი ჯაგასიშვილი შეკითხვები/დისკუსია
15.30-16.15	სადილი
16.15-16.55	ჯგუფური მუშაობა - ცვლილებები წესდებაში
16.55-17.30	შედეგების წარდგენა/კენჭისყრა
17.30-17.40	პარლამენტისადმი მიმართვის მიღება
17.40-18.10	ცვლილებები გამგეობაში/კენჭისყრა
18.10	ყრილობის დასურვა

ყრილობის მიმდინარეობა

ბახსნა

ყრილობა გახსნა და მონაწილეებს მიესალმა ქალბატონი ნანა ნემსაძე. მან დიდი მადლობა გადაუხადა დამსწრეებს და აღნიშნა, რომ "ელკანას" 2003 წელს არსებობის 10 წელი უსრულდება და ამ ხნის განმავლობაში ორგანიზაცია ბევრი სასარგებლო საქმის შემსრულებელი და ხელშემწყობი იყო. ქალბატონმა ნანამ იმედი გამოთქვა, რომ "ელკანა" მომავალშიც ნაყოფიერად იმუშავებს.

გამგეობის ანგარიში

საანგარიშო პერიოდში გამგეობის საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა "ელკანას" გამგეობის თავმჯდომარემ, ბატონმა დევი გამრეკელმა: "მოგესალმებით, ბატონებო და ქალბატონებო!

მე ძალიან კარგად მესმის თუ რამდენად ძნელია დღევანდელ პირობებში რაიონებიდან ჩამოსვლა და ის ფაქტი, რომ დღეს ამ დარბაზში საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ამდენი ხალხი ჩამოვიდა, ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად გულთან ახლოს მიაქვს "ელკანას" წევრებს თავისი ორგანიზაციის ბედი. მე მინდა დიდი მადლობა გადაუხადო მობრძანებისათვის ყველა დამსწრეს, იმიტომ, რომ დღევანდელი დღე "ელკანას" განვითარებაში ახალ ეტაპს ხსნის, რაშიც თქვენ სხვა გამოსვლებიდანაც დარწმუნდებით და თქვენი აქტიური მონაწილეობა დღევანდელ შეხვედრაში დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი ორგანიზაციისა და საქმის წინსვლას.

შეგახსენებთ, რომ წინა ყრილობაზე (2001 წლის 24 თებერვალს) 3 წლის ვადით არჩეულ იქნა ახალი გამგეობა. მისი ყველა წევრი პირველად აღმოჩნდა "ელკანას" გამგეობის შემადგენლობაში და არ ჰქონდათ გამგეობაში მუშაობის გამოცდილება. საკვებით გასაგებია, რომ მათ მოუწიათ თანდათან თვითონ გარკვეულიყვნენ იმ სპეციფიურ საქმიანობაში, რასაც გამგეობის წევრობა ჰქვია. ჩვენ ვმუშაობდით იმ, ასე ვთქვათ მანდატის ფარგლებში, რომელიც "ელკანას" წესდებაში მოგვანიჭა.

გასული 21 თვის განმავლობაში ჩატარდა გამგეობის 12 სხდომა. მაგრამ საერთო ჯამში გამგეობის წევრები ერთმანეთს 18-ჯერ შეხვდნენ, იმის გათვალისწინებით, რომ მათ მოუწიათ ერთობლივი მუშაობა "ელკანას" სხვადასხვა დონისძიებებში: 2001 წლის მარტში ამ დარბაზში ჩატარებულ სემინარში, რომელიც მიემდგნა სიღარიბის დაძლევის პერსპექტივებს საქართველოში, 2002 წლის იანვარში "ელკანაში" სპეციალურ ტრენინგ-სემინარში, რომლის მიზანი იყო გამგეობის ჯგუფური მუშაობის ჩვევების გაძლიერება, თებერვალში "ელკანას" დონორების წარმომადგენლებთან შეხვედრაში, სადაც მათ დიდი გააღვინა მოახდინეს "ელკანას" მომავალი ამოცანების დასახვაში, აგვისტოში კი ფასანაურში გამართულ "ელკანას" სტრატეგიული დაგეგმვის სემინარში, სადაც კვლავ დაადასტურეს, რომ ისინი კარგად არიან გარკვეულები "ელკანას" მუშაობის პრობლემატიკაში და მზად არიან სწორად განსაზღვრონ "ელკანას" მომავალი პოლიტიკა.

ყოველივე ზემოთქმულით მსურს დაგარწმუნოთ, რომ გამგეობა თავის მხრივ ყველანაირად ცდილობდა ახლოს ყოფილიყო "ელკანას" აქტიურ ცხოვრებასთან და მკაფიოდ აღექვა ორგანიზაციის მუშაობის მაჯისცემა, რა თქმა უნდა, ყოველივე ამაში ჩვენ დიდ ყურადღებას ვგვრძნობდით "ელკანას" ხელმძღვანელობისაგან, პირველ რიგში მისი პრეზიდენტის ქ-ნი ნანას მხრიდან. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ "ელკანას" მენეჯერიც, ბ-ნი თამაზი აქტიურ მონაწილეობას იღებდა გამგეობის შეხვედრებში.

იმისათვის, რომ კარგად გავერკვეთ წინა ყრილობის განვლილ პერიოდში "ელკანას" მიღწევებში, მინდა მოკლეთ შეგახსენოთ, თუ რა ამოცანები იყო დასახული თითქმის ორი წლის წინ.

ვინც ესწრებოდა წინა ყრილობას, კარგად ეხსომება, რომ ძირითადი აქცენტი მისი მონაწილეების მიერ გადატანილი იყო პრაქტიკულ შედეგებზე, ანუ აღებული პროდუქციის გადამუშავებასა და გასაღებაზე, ანუ როგორც დღეს ამბობენ მარკეტინგზე. ფერმერები გამოთქვამდნენ სურვილს, რომ "ელკანას" მეტი მხარდაჭერა და ხელშეწყობა აღმოეჩინა გადამამუშავებელი საწარმოების ან ცენტრების შექმნაში, საფირმო მალაზიების გახსნაში, ბიომეურნეობებში ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში, მესხეთში ადგილობრივი მსხლის ჯიშებისა და თუთის პლანტაციების გადარჩენაში და ა.შ.

ყველა ეს საკითხი და ამოცანა დღესაც ძალაში რჩება, მაგრამ ნუ ვიფიქრებთ, რომ ეს "ელკანას" მხრიდან განზრახ უმოქმედობისა ან წაყრუების ბრალია. 2001-2002 წლებში "ელკანას" პროგრამული და ფინანსური მდგომარეობა ისეთი იყო, რომ რაიმე ახალი და ფართომასშტაბიანი საქმის წამოწყება გამორიცხული იყო. ძველ პროექტში ასეთი საქმიანობა არ იყო დაფინანსებული, ვითარება გაართულა იმ გარემოებამაც, რომ "ელკანას" გამგეობის მიერ ჯერ კიდევ ერთი წლის წინ წარდგენილი პროგრამა, რომელიც "ელკანას" სხვადასხვა სამსახურებმა შეიმუშავეს, დონორებმა არ მიიღეს. ამას თან დაერთო ფინანსური კრიზისი, რომელიც ა.წ. აპრილიდან შეიქმნა "ელკანაში". პროექტის გადახალისებული ვარიანტი, რომელიც გაზაფხულზე უკვე მენეჯერმა ბ-მა თამაზმა წარადგინა, დონორებმა დაიწუნეს და ნათელი გახდა, რომ "ელკანას" მყარ დაფინანსებაში დიდი წყვეტა იქნებოდა. ივლისში დონორებმა "ელკანას" ხელმძღვანელობის თხოვნით გადაწყვიტეს მცირე შუალედური პროექტის დაფინანსება, რომელიც "ელკანას" საშუალებას მისცემდა გაეგრძელებინა ნორმალური მუშაობა, მაგრამ მთელი რიგი ბიუროკრატიული სიძნელების გამო დონორებმა ვერ მოახერხეს ფინანსებით დროული უზრუნველყოფა. ეს არის ძირითადი მიზეზი იმისა, თუ რატომ შეეკვეცა "ელკანას" სამრჩევლო სამსახურმა თავისი აქტიური გასვლები წევრ ფერმერებთან. ასევე შეიზღუდა სხვა სამსახურების მუშაობაც, ორი თვის წინ "ელკანამ" უკვე მესამედ ვრცელი განაცხადი გაგზავნა დონორებთან, მაგრამ სამწუხაროდ ჯერ კიდევ არ არის ცნობილი ამ პროექტს სრული სახით მიიღებენ თუ მოხდება რაღაც საქმიანობების შეკვეცა გარკვეული მასშტაბით. ნათელი კი ის არის, რომ ალბათ მარტამდე ახალი პროექტით მუშაობა არ დაიწყება.

მაშინ რა მიღწევები აქვს "ელკანას" დღეისათვის? სამრჩევლო სამსახურმა 2001 წელს და 2002 წლის დასაწყისში მოახერხა წევრი ფერმერების რაოდენობის 300-მდე გაზრდა. მართალია, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წევრების მიღების ის პროცედურა, რომელსაც ითვალისწინებს "ელკანას" წესდება, გარკვეულწილად დაირღვა, ვინაიდან არცერთი ახალი წევრი ფერმერის საბუთები გამგეობაში დასამტკიცებლად არ შემოსულა. ეს საქმე უნდა მოგვარდეს მოკლე დროში. სოფლის განვითარების ჯგუფმა 2001 წელს წარმატებით განახორციელა პროექტი ახალციხის რაიონის სოფელ გურკელში და ასევე წარმატებით შეასრულა წელს პროექტი ახალციხის რაიონის სოფელ ტყემლანაში.

როგორც თავში ვახსენე, 2001 წლის მარტში "ელკანამ" მოაწყო სემინარი საქართველოში სიღარიბის დაძლევის პერსპექტივებზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა და რიგმა სამთავრობო სტრუქტურამ, მათ შორის სოფლის მეურნეობის სამინისტრომაც. "ელკანას" საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფმა გამოსცა ამ სემინარის მასალები და მიაწოდა ყველა იმ ორგანიზაციას თუ მხარეს, ვისაც ძალუძს სიღარიბის დაძლევაში საკუთარი წვლილის შეტანა. გარდა ამისა, ამ ჯგუფმა

გამოსცა ჟურნალის "ბიომეურნე" მე-8 ნომერი. ამჟამად მზადდება გამოსაცემად "ჯიბის" სახელმძღვანელო მრჩეველებისათვის.

"ელკანას" პრეზიდენტი, ქ-ნი ნანა, რომელიც ფასანაურში ჩატარებული სემინარის შედეგად ამჟამად იწოდება დირექტორად, აქტიურად უწყობს ხელს ბიოფერმერობის შესახებ კანონის მიღებას.

გარდა იმ ძირითადი პროექტისა, რომელსაც "ელკანა" ასრულებდა გერმანული კონსორციუმის დაფინანსებით, ორგანიზაციაში მიმდინარეობდა 3 მცირე პროექტის განხორციელება. ერთი – ევრეთწოდებული "რუსთავის პროექტი" (დაფინანსებული ბრიტანეთის განვითარების განყოფილების მიერ), რომელიც უკვე დასასრულს უახლოვდება და ეხებოდა ქ. რუსთავის ხელმოკლე ოჯახებისათვის მცირე საბოსტნე ნაკვეთების გამოყოფას, მეორეა გაეროს განვითარების პროგრამით დაფინანსებული "აგრობიომრავალფეროვნების" პროექტი, რომელიც ეხება მესხეთსა და რაჭაში ადგილობრივი ჯიშებისა და კულტურების შესწავლას, მათი მომდევნო შესაძლო გამრავლება-გადარჩენის თვალსაზრისით, ხოლო მესამე პროექტი – სოფელ ასურეთში საქველმოქმედო ბიოფერმის განვითარება – დასრულდება 2005 წელს. ეს პროექტი ამჟამად გარკვეული სიძნეელების წინაშე დგას, მაგრამ იმედია, რომ 2003 წელს გამოჩნდება მისი წარმატების გარდუვალობის ნიშნები.

მთავარი, რაც განვლილ პერიოდში მოხდა, იყო "ელკანას" შეფასება გარე ექსპერტების მიერ და ამის საფუძველზე ორგანიზაციაში გარკვეული რესტრუქტურისა და მიმდინარეობს მოყოლებული აგვისტოდან, ფასანაურში ჩატარებული სემინარის შემდეგ. მოგვიანებით, თამაზი წარმოგიდგინებ "ელკანას" საქმიანობის იმ სტრატეგიულ მიმართულებებს, რომლებიც ფასანაურის სემინარის საფუძველზე შემუშავდა.

"ელკანას" ავტორიტეტი საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანდათან უფრო იზრდება, მიუხედავად იმ სიძნეელებისა, რომელსაც მისი საქმიანობა ამჟამად განიცდის. გამგეობა დარწმუნებულია, რომ 2003 წლიდან "ელკანა" და მისი წევრი ფერმერები შეძლებენ შეჭიდებას იმ ამოცანებთან, რომლებიც წინა ყრილობაზე წამოიჭრა, და ყველანი ერთად, შეკრულად, მივალწევთ წარმატებისაკენ გარდვევას. გმადლობთ ყურადღებისათვის."

საშრანბეთის პრაქტიკის ანბარიში

თამაზ დუნდუამ ყრილობის მონაწილეებს ინფორმაცია მიაწოდა "ელკანას" 3 ახალგაზრდა ბიომეურნის საფრანგეთში გატარებული პრაქტიკის შესახებ. ახალგაზრდა ბიომეურნეები (2 - გურიიდან, 1 - სამეგრელოდან) 3 თვის განმავლობაში პრაქტიკას გადიოდნენ საფრანგეთის მეურნეობებში. აღნიშნული ღონისძიება დაფინანსდა გერმანული ორგანიზაციის, "დიაკონიშეს ვერკის" მიერ.

ყრილობის მონაწილეების წინაშე მოკლე ანგარიშით წარსდგა სამივე ბიომეურნე:

ლაშა ღლონტი გურია

ფრანგი გლეხის, სტეფანის ოჯახში, სადაც პრაქტიკის გასაგებლად მოვხვდი, ჩემს გარდა 3 პრაქტიკანტი მუშაობდა - 2 გერმანელი და 1 კანადელი. ოჯახს 7 ჰა მიწის ნაკვეთზე ძირითადად სამეურნალო და არომატული მცენარეები მოჰყავდათ. ძირითადი ფართობი ლავანდას ეკავა, დანარჩენზე გვირილა, მელისი, სალბი, ტენი და ხეანწლა იყო დათესილი. ჰქონდათ ბლის ნარგაობაც. ოჯახი მეცხოველეობასაც მისდევდა, ჰყავდათ 2

ძროხა და 20-მდე ცხვარი. რძის პროდუქტებიდან ყველს აკეთებდნენ, რომელსაც ბაზარზე ჰყიდნენ. ყველის დასამზადებლად სპეციალური ოთახი და სარდაფი ჰქონდათ. რძეს რამოდენიმე დღის განმავლობაში სპეციალური თერმოსში აგროვებდნენ, შემდეგ უქანგავ მეტალის კასრში ასხამდნენ და გაზით ათბობდნენ 24-25⁰ C-ზე, შემდეგ ამიტებენ პეპსინს და აყოვნებენ 20 წუთს და გაუჩერებლად ურევინებენ კიდევ 20 წუთის განმავლობაში. შემდეგ ყველს დებენ სპეციალურ პრესში და აჩერებენ ნახევარ საათს. ინახავენ უმარტივოდ სარდაფში, სადაც ტემპერატურა 10-12⁰-ია, ტენიანობა კი 95 %. საქონლის ყველს დიდ ფერმებში აკეთებენ და მას რეალიზაციამდე 4 თვე სჭირდება, ხოლო ცხვრის ყველი სტელაჟებზე არის დალაგებული და ტენიანობის გამო ობი აქვს მოკიდებული, მას ყოველ 3 დღეში ადგილის შეცვლა და ობის მოცილება სჭირდება. ასეთი ტექნოლოგიით დამზადებული ყველის ფასი 15-19 ევრომდეა. აკეთებდნენ კიდევ მეორე სახის ყველს - დარჩენილ შრატს წამოადრულებენ და როდესაც შრატი თავზე სქელ მასას მოიყენებს, მოჭაფავენ და ფორმებში დებენ, პრესავენ და 2-3 დღე მაცივარში ინახავენ. შემდეგ ფუთავენ სპეციალურ პოლიეთილენში, აკრავენ ეტიკეტს და ბაზარზე გააქვთ.

ამ სამუშაოებს პრაქტიკანტები მორიგეობით ვაკეთებდით. პირველ დღეებში ძირითადად ლავანდის ფართობს ვთოხნიდით. სამუშაო საკმაოდ ძნელი და შრომატევადი იყო, რადგან ფართობი მოუვლელი იყო - გაზრდილი ბალახი და დაპრესილი მიწა. 12 დღე ვთოხნიდით ფართობს და ბალახი ფართობის გარეთ გაგვქონდა. სტეფანს ტრაქტორიც ჰქონდა და მოტოკულტივატორიც, მაგრამ თოხით ვმუშაობდით, რადგან ეს ფერმა ბიოდინამიკურია, და სტეფანის აზრით, ტრაქტორი მიწას პრესავს. როდესაც ვკითხე ტრაქტორით რატომ არ აკეთებენ, მან მიპასუხა - იმიტომ რომ ხელით მუშაობა მიყვარსო. ჩემთვის თოხით მუშაობა უცხო ხელი არ არის, სხვა პრაქტიკანტებმა კი თოხით მუშაობა არ იცოდნენ და უჭირდათ - ნელა მუშაობდნენ. როდესაც აგუხსენი და ვასწავლე, უფრო სწრაფად მუშაობდნენ.

მეურნეობაში ყველანაირ სამუშაოს ვასრულებდით - სამკურნალო და არომატული მცენარეებს ვაგროვებდით, ყოველ დილა-საღამოს სათბურს ვრწყავდით. აყვავებულ მცენარეებს ვაგროვებდით, სეკატორით ვჭრიდით და საშრობ ოთახში სტელაჟებზე ვათავსებდით. მშრალი პროდუქცია დაფასოების შემდეგ ბაზარზე გააქვთ, ზეთის სახით მხოლოდ ლავანდას ყიდიან (ზეთს ქარხანაში ხდიან).

ბაზარზე მათ საკუთარი ადგილი აქვთ და რეგულარულად გაჭრობენ. მონაწილეობას იღებენ აგრეთვე ბიოლოგიური პროდუქციის ბაზრობაზე, სადაც პროდუქცია გაცილებით ძვირია. საერთოდ პროდუქციის გასაღების პრობლემა პრაქტიკულად არა აქვთ, ვინაიდან, კარგადაა ორგანიზებული რეკლამა.

სტეფანის მეურნეობაში რეგულარულად ვკრეფდით ბაღს. ბაღას ვჭრიდით სპეციალური მანქანით, რომელიც ბენზინზე მუშაობს და კისერზე გაქვს ჩამოკიდებული. მას მბრუნავი დისკი აქვს, რომელშიც პლასტიკის ხვიაა და ამ პლასტიკის შნურით ჭრის ბაღასს.

ვიმუშავეთ ცაცხვის ყვავილის შეგროვებაზეც, რაზეც დიდი მოთხოვნილებაა მსოფლიო ბაზარზე.

შაბთ-კვირას გასატარებლად ქართველი პრაქტიკანტები ერთმანეთს ქალაქ CREST -ში შევხვდით და ვესტუმრეთ ბატონ ნიკოლის ოჯახს, რომელიც მეცხოველეობას მისდევს - 7-8 სული პირუტყვი ჰყავთ, თითო სული დაახლოებით 20 ლიტრ რძეს იძლევა საქონლის საკვებად იყენებენ ბაღასს და დამატებით თითო სულს 1 კგ ქერის მარცვალს აძლევენ; ქერს ასხამენ წყალს და 3 დღის განმავლობაში უცვლიან ჭურჭელს, რათა ჰაერი მოხვდეს მარცვლებს, გაღივდეს და ამჟავდეს. ასეთი მეთოდით დამზადებული მარცვალი უფრო ნოყიერი და ადვილად მოსანელებელია. ჩემი აზრით, ეს

მეთოდი მარტივი და ჩვენთანაც შეიძლება გამოვიყენოთ. შემდეგ გავეცანით ბიზნესმენ ტომ ვინჩის დაწესებულებას. ეს ადამიანი ჰოლანდიელია და საქმიანობას საფრანგეთში ეწევა - ყიდულობს მხოლოდ ბიოლოგიური პროდუქტებს (ჩაი, დაფნა, ცაცხვის ყვავილი, არომატული და სამკურნალო მცენარეები) და გააქვს მსოფლიოს იმ ქვეყნებში, სადაც ამის მოთხოვნილებაა. ტომ ვინჩი საქართველოში რვაჯერ იყო, კარგად იცნობს ჩვენ კლიმატსა და ბუნებას. მან თქვა, რომ უნდა საქართველოში საქმიანობის დაწყება, კერძოდ ბიოპროდუქტების გატანა (ნებისმიერი რაოდენობით), მაგრამ უნდა ჰქონდეს გარანტია, რომ ეს პროდუქცია ბიოლოგიურია, სერტიფიცირებულია, აგრეთვე, რომელიმე პორტამდე გარანტირებულია გზის უსაფრთხოება. ტომ ვინჩი გაზაფხულზე აპირებს საქართველოში ჩამოსვლას და ელკანასთან შეხვედრას.

სტეფანის ოჯახში ერთი თვე ვიმუშავე, შემდეგ კი ვითხოვე ოჯახის შეცვლა - გამიჭირდა ამ ოჯახთან შეგუება.

მეორე თვის დასწყისში "აგრობიოდრომის" დახმარებით ფილიპ მატეოს ოჯახში მოხვდი. ოჯახი მეხილეობას მისდევდა და საბოსტნე ნაკვეთებიც ჰქონდა. 30 ჰა ფართობზე მოჰყავთ გარგარი, ბალი, ატამი, ქლიავი, ზეთისხილი, ბოსტნეულიდან კი - პამიდორი, ლობიო, ნესვი, პრასი, ისპანახი. მათ ორი დამხმარე მუშაც ჰყავდათ, რომლებიც ჩვენთან ერთად მუშაობდნენ. მე რომ მივედი, მეურნეობაში გარგარის კრეფა იწყებოდა, დაახლოებით 20 ტ გარგარი მოგკრიფეთ. გარგარს საწყობში, დიდ მაცივარში ინახავენ. იქვე აქვთ დასახარისხებელი მანქანა რომელიც გარგარს 4 ფრაქციად ახარისხებს. დახარისხებულ ხილს სპეციალურ ყუთებში ვაწყობდით და ეტიკეტს ვაკრავდით. ხილიან ყუთებს მანქანაში ვტვირთავდით და "აგრობიოდრომის" საწყობში მიგვქონდა, დიდ პარტიებად საზღვარგარეთ გააქვთ. გარგარის შემდეგ ქლიავზე ვიმუშავეთ, შემდეგ მოტოკულტივატორით თოხნაზე და არხების გაყვანაზე. ბოსტნეული პლასტიკებით ჰქონდათ გაშენებული და მეც მომიწია პრასის დარგვა პლასტიკებით, ეს ძალიან მომწონს რადგან პლასტიკებით გაშენებულ ფართობში ბალახი არ ამოდის და მორწყვას არ საჭიროებს, რაც სამუშაო დროსა და ენერჯიას ზოგავს.

ამ მეურნეობაში აქტიურად იყენებენ კომპოსტს - წლიურად ჰექტარზე 8-10 ტ კომპოსტი შეაქვთ, ან 2 წელიწადში ერთხელ - 15 ტ.

ერთ სოფელში ვნახეთ თხილისა და კაკლის მოსაგროვებელი მანქანა და კაკლის სარჩევ-სარეცხი დანადგარი. დავათვალიერეთ სამკურნალო და არომატული მცენარეების პლანტაციის მქონე ფერმა - ისინი თვითონ ხდიან ზეთებს და ამზადებდენ მაღამოებს. ზეთის სახდელი არყის სახდელის ტიპისაა, რაც ჩვენს პირობებში არ იქნება რთული გასაკეთებელი.

დავათვალიერეთ იოჰანის ფერმა. მას თხები, ძროხები, ღორები ჰყავს, აქვს სამკურნალო და არომატული მცენარეების პლანტაცია. მან გაგვაცნო ასოციაცია "კუმას", რომლის პრეზიდენტიც თვითონაა. გავეცანით გლეხთა კავშირს, რომელშიც გაერთიანებულია 40 გლეხი - ზეთის სახდელი და საშრობი ქარხანა აქვთ. გლეხები აბარებენ ნედლეულს და ანაზღაურებას იღებენ. ქარხნის მმართველს კი კლიენტის მოძებნა ევალება მსოფლიო ბაზარზე. მათ აგვიხსნეს, რომ გლეხებმა წარადგინეს პროექტი ევროგაერთიანებაში, რათა გაგვედიდებინა კომპერატივის საქმიანობა და მიიღეს ფულადი დახმარება, რომელიც მხოლოდ კომპერატივებზე გაიცემა და არა კერძო პირებზე.

დათვალიერებული ფერმებიდან უმეტესობა მეცხოველეობაზეა ორიენტირებული, რაზეც სახემწიფოს მხრიდან ძალიან დიდი დახმარებაა და ამით უადვილდებათ სოფელში მუშაობა - დახმარების გარეშე არც საფრანგეთში აქვს აზრი მიტოვებულ სოფლებში დაბრუნებას. ფერმერების უმეტესობა, ქალაქიდან სოფელში 10-15 წლის დაბრუნებულები არიან.

მესამე თვე ქართველმა პრაქტიკანტებმა "კოკონის" ფერმაში გაგატარეთ, რომელიც პატრის მარიმ შექმნა. ამ ფერმაში ის ადამიანები მუშაობენ, რომლებიც ვერ პოულობენ სამუშაოს ან ალკოჰოლიკები არიან და გამოსწორების გზას ადგანან, ან ინვალიდები არიან. სახელმწიფო ასეთ ხალხს ესმარება. ფერმას 5 ჰა მიწა აქვს, რამდენიმე სათბურით და ტრაქტორებით, აგრეთვე ჰყავთ 2 ცხენი. მოჰყავთ ბოსტნეული: კიტრი, პამიდორი, სალათი, ლობიო, ნესვი, სტაფილო, კომპოსტო, ბადრიჯანი, ბუდგარული წიწაკა. ხალხი აქ ჩვეულებრივად 7 ევროს ღებულობს საათში და ამ თანხის ნახევარს სახელმწიფო იხდის, ნახევარს კი - რეალიზებული პროდუქციიდან იღებენ. მათთან ერთად ვიმუშავეთ კრეფაზე, დაფასობაზე, თოხნაზე, რწყვაზე, თესვაზე, კომპოსტის შეტანაზე ტრაქტორითა და ცხენით. პროდუქტზე შეკვეთებს იღებენ მომხმარებელიდან - პროდუქციის გასაღების პრობლემა არ არსებობს.

ჩემი აზრით, პრაქტიკა კარგად იყო ორგანიზებული ვფიქრობ პროექტის გაგრძელება ძალიან კარგი იქნება, როგორც საფრანგეთში ისე სხვა განვითარებულ ქვეყნებში.

მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ პროექტის მომზადებასა და განხორციელებაში..

დისკუსია

კითხვა: რა პლასტიკატები გამოიყენება ბიომეურნეობაში?

პასუხი: ეს არის ჩვეულებრივი პლასტიკატი, ის სპეციალურად არის დამზადებული ისე, რომ ნიადაგში გაიხსნას. ასეთი პლასტიკატი ნიადაგს ეკვრის, შემდეგ ირგვება, არ სჭირდება მორწყვა.

კითხვა: თუ აპირებ ამ მეთოდის გამოყენებას საკუთარ მეურნეობაში?

პასუხი: ძალიან მინდა, თუ ასეთი პლასტიკატი ვიშოვე.

ჯაბა ჭეიშვილი

გურია

3 თვე გაგატარე საფრანგეთში. პრაქტიკა გავიარე ორ ფერმაში - ერთში - 2 თვე ვიყავი, მეორეში - 3 კვირა. დაბინავებული ვიყავი ბიოფერმერ დავით პეირმორმორტთან. მას დაახლოებით 70 ჰა მიწის ფართობი აქვს, აქედან ნახევარზე პური ეთესა, დანარჩენზე - ნიორი, ხახვი, სტაფილო, კარტოფილი, გოგრა და სხვ. აქვს სათიბიც, სადაც ჩვენც ვმონაწილეობდით თივის დამზადებაში. ბიოფერმერს აქვს 6 ტრაქტორი, 3 სატვირთო მანქანა, უამრავი ხელსაწყო და დანადგარი, რაც სოფელ მეურნეობაშია საჭირო.

მუშაობას დიდის 7 სთ-ზე ვიწყებდით და საღამოს 7სთ-ზე ვამთავრებდით. შუალედში პატარა შესვენება გვქონდა. ვაკეთებდი ყველაფერს - ვმუშაობდით ტრაქტორით, კულტივატორით და თოხით. დავითი ნიადაგს კომპოსტით ანოყიერებს და ძალიან კარგ შედეგს იღებს. კომპოსტს დიდი რაოდენობით იყენებს: მაგ., 1 ჰა ბოსტნეულს - 10 ტ კომპოსტი ესაჭიროება, ხოლო მარცვლეულს - 20 ტ. კომპოსტის ნაწილს ყიდულობდა, ნაწილს სახლში ვამზადებდით.

სარეგელების წინააღმდეგ ბევრი საშუალებაა: იყიდება შავი ბიოპოლიეთილენი, რომელსაც მიწაზე აგებენ და ბალახი არ ამოდის. ბიოპოლიეთილენის ქვეშ კი პლასტმასის მილია გაყვანილი სარწყავად. დროთა განმავლობაში, ბიოპოლიეთილენი ნიადაგში იშლება. საფრანგეთში ფერმერს კარგი ტექნიკა აქვს. თუ რომელიმე ხელსაწყო ძვირია, 3-4 ფერმერი ზიარად ყიდულობს.

სარწყავი სისტემა შესანიშნავადაა მოწყობილი. არტეზიული ჭებია გაკეთებული და წყალს იქედან ქაჩავენ.

ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ვმუშაობდით, შაბათ-კვირას ვისვენებდით და თითქმის ყველა დასვენების დღეს სხვა ფერმის

თვალთვლებაში გატარებდით. იქაური ხალხი ძალიან სტუმართმოყვარე და კეთილია, ყველა სიამოვნებით გვიხსნიდა და გვასწავლიდა ყველაფერს.

ვიყავით მეცხვარეებთან, მესაქონლეებთან და მეფუტკრეებთან. ერთ ფერმერს ეთერზეთების პატარა სახდელი დანადგარი ქონდა, ამზადებდა სამკურნალო მალამოებს და ასევე სუნამოებს. მან ქართველი პრაქტიკანტის მიღების სურვილი გამოთქვა.

მესაქონლეები ყველს სახლში ამზადებენ და ადგილზე ყიდიან, იქ ყველის დამზადება ხელოვნებამდგა აყვანილი და კარგი ფასიც აქვს. მეცხვარეები საფრანგეთში ბლომადაა და სახელმწიფოც ეხმარება მათ. ამზადებენ ყველს, მატყლს და ხორცს. საფრანგეთში თხის ყველი ძალიან პოპულარულია, მაგ., ფერმერ იოჰან ჰაუნს 55 სული თხა ჰყავს, ამზადებს შესანიშნავ ყველს. აღსანიშნავია, რომ ნიკოლა გრაუერთან ერთად, მას დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენი საფრანგეთში პრაქტიკაზე გამგზავრების საკითხში.

საფრანგეთში თუ ფერმერი ბიოპროდუქციას ამზადებს, მისი მეურნეობა ყოველმხრივ კონტროლირდება - მოწმდება მიწა, პრეპარატები, პროდუქტი და შემდეგ ეძლევა სერტიფიკატი. ფერმერს აქვს ბეჭედი, საკუთარი ეტიკეტი და პასუხს აგებს თავისი პროდუქციის ხარისხზე.

სოფლებში გლეხები პატარ-პატარა გაერთიანებებს ქმნიან და სიძნელეებს ერთად უმკლავდებიან.

28 ივლისამდე ვიმუშავე დავითის ფერმაში, შემდეგ სამივე ერთად ასოციაცია "აგრობიოდრომის" მიერ შექმნილ ფერმაში ვმუშაობდით. ამ ფერმაში უმუშევრებს ასაქმებენ გარკვეული დროით და ხელფასაც უხდიან. ფერმაში ვთხოვნიდით, ცხენით ვმუშაობდით და ყველაფერს ვაკეთებდით: მოგვყავდა ნიორი, პამიდორი, გოგრა, ლობიო, სტაფილო და ნესვი; მოსავლს ვიღებდით, ქაღალდის პარკებში ვაფასობდით და კლიენტებს ვუგზავნიდით.

ბიოპროდუქციაზე საფრანგეთში დიდი მოთხოვნილებაა, ბიომალაჩიები ცალკეა და იქ ყველაფერი იყიდება. რაც შეეხება საწარმოებს, ნიკოლა გრაუერმა წაგვიყვანა საწარმოში, სადაც სამკურნალო მცენარეებს იბარებენ და ყიდიან, ეს საწარმო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ყიდულობს და ყიდის პროდუქციას. იბარებენ ცაცხვის ყვავილს, დაფნის ფოთოლს, ლავანდას და სხვ. საწარმოს დირექტორმა ყველაფერი სიამოვნებით გვიხსნიდა, ის კარგად იცნობს საქართველოს და ჩვენთან თანამშრომლობაზეც ფიქრობს. ვიყავით ეთერზეთების სახდელ საწარმოში. აღსანიშნავია, რომ პატარ-პატარა საწარმოები უფრო მომგებიანია, ვიდრე დიდები. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა ფერმა მრავალფეროვანია, მოჰყავდათ 4-9 და მეტი სახეობის ბოსტნეული და სხვა პროდუქცია.

პრაქტიკის ბოლოს მოვაწყვეთ შეკრება, ვიმსჯელებთ ჩვენი პრაქტიკის დადებით და უარყოფით მხარეებზე. ფრანგების თქმით, ისინი კმაყოფილნი დარჩნენ და ქართველი ფერმერების საფრანგეთში მიწვევის სურვილი აქვთ, ყოველთვის მზად არიან დაგვეხმარონ და გვასწავლონ.

ჩემი აზრით, სასურველია ასეთი პრაქტიკა ყველა ფერმერმა გაიაროს - ეს წაადგება ჩვენს მეურნეობებსაც და ქვეყანასაც.

დასასრულს, მადლობას ვუხდით ყველას, როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთ, ვინც წვლილი შეიტანა ჩვენი პრაქტიკის ორგანიზების საქმეში.

დისკუსია

კითხვა: თუ გქონდათ ენობრივი ბარიერი?

პასუხი: საფრანგეთში წასვლამდე "ელკანას" დახმარებით 2 წელი ვსწავლობდით ფრანგულს, მაგრამ ერთი თვის მანძილზე მაინც გვიჭირდა საუბარი.

კითხვა: რომელ ბიოპრეპარატებს იყენებენ?

პასუხი: ძალიან ბევრი ბიოპრეპარატებია გამოყენებაში, ჩამოვიტანე მათი ნუსხა და ვისაც დაინტერესებს შეუძლია გაეცნოს.

კითხვა: როგორ ამზადებენ და მოიხმარენ კომპოსტს?

პასუხი: კომპოსტი მცირე რაოდენობითაც ძალიან ეფექტურია უხვმოსავლიანობისათვის. ნაკელს არ აყრიან. პროსას ქვეშ ნამჯას უფენენ, შემდეგ ეს ნამჯა საკომპოსტე ორმოში ხვდება.

კითხვა: არაბიოლოგიური პროდუქტები საიდან შემოაქვთ?

პასუხი: არაბიოლოგიური პროდუქტები არის ადგილობრივიც და შემოტანილიც (სხვადასხვა ქვეყნებიდან), შემოტანილი გაცილებით იაფია და კონკურენციას უწევს ადგილობრივ პროდუქტებს.

კითხვა: როგორია დაბეგვრის სისტემა საფრანგეთში?

პასუხი: დაწვრილებით ამ საკითხით არ დაინტერესებულვარ, მაგრამ იქაც, ისევე, როგორც ჩვენთან, სხვადასხვა საშუალებებით ცდილობენ თავიდან აიცილონ დაბეგვრა.

კითხვა: რა გეგმები გაქვთ თქვენ მეურნეობაში?

პასუხი: ჩამოვიტანე ნივრის კარგი ჯიშო, ყვავილების ნერგები და საინტერესო ლიტერატურა. ვფიქრობ რაღაცეების შეცვლას ჩემს მეურნეობაში.

გონა ცხადაია ზუგდიდი

საფრანგეთის სამხრეთში, ბიომეურნის ოჯახში გაგიარე 2 თვიანი პრაქტიკა. მეურნეობაში, 25 ჰა ფართობზე გაშენებული იყო სხვადასხვა სახის ხილი: ატამი, ბალი, მსხალი, კივი; ხორბალი და მზესუმზირა. პრაქტიკის განმავლობაში გავცანი ყველა სახის ხილის (კივის გარდა) მოვლას, კრეფას, შენახვასა და რეალიზაციას.

მთელი მეურნეობა ირწყვებოდა კარგად მოწყობილი სარწყავი სისტემით. მიწის ნაყოფიერების გაზრდისათვის ჩემი მასპინძელი ძირითადად იყენებდა აგროტექნიკას, აზოტით გამდიდრებისათვის – ბუმბულის ფქვილს. ხორბალსა და მზესუმზირას ნათესებიან ფართობებზე პარკოსნების გამოყენებით აკეთებდა თესვას.

მცენარეთა დაცვის ღონისძიებებიდან, ფრანგი მეურნე კვირაში ერთხელ ატარებდა ხეხილის შეწამვლას შაბიამინსა და კირის ხსნარით; ხილის მავნებლებისა და სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ კი - გოგირდსა და "თეთრ ზეთს" ხმარობდა. ეს პროფილაქტიკური ღონისძიებაა - როგორც მასპინძელმა მითხრა, ამ დაავადებათა განვითარების შემდეგ მათ წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიური საშუალებები არ არსებობს.

მოკრეფილ ხილს მეურნე მაცივარში ინახავდა, შემდეგ კი უკავშირდებოდა ჩამბარებულ პუნქტს, სადაც იგი გაწვერიანებული იყო.

ამ მეურნეობის გარდა, ყოველი კვირის პარასკევს, შაბათს და კვირას ვეცნობოდით სხვა ფერმერების მეურნეობას და ცხოვრებას.

ბოლო ერთი თვე ვიყავით სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ და "აგრობიოდრომის" მიერ ორგანიზებულ "Cocagne"-ის ფერმაში. ამ ფერმაში მუშაობენ შრომის უნარს მოკლებული და დიდი ხნის უმუშევრად მყოფი ადამიანები. ფერმაში 5 ჰა ფართობზე მოჰყავთ თითქმის ყველა სახის ბოსტნეული, მუშაობა მიმდინარეობდა ბიოლოგიური მეთოდებით, ხელითა და ცხენით. ჩვენი იქ ყოფნა ორგანიზებული იყო ნიკოლას და იოჰანეს მიერ, რომლებმაც, ჩვენ მასპინძლებთან ერთად, წამოსვლის წინ, მოაწყვეს შემაჯამებელი შეხვედრა, პროექტი შეაფასეს, მოეწონათ და გამოთქვეს სურვილი გაეგრძელებინათ ახალგაზრდა ფერმერების გაცვლა-გამოცვლა.

ელკანას სამოქმედო პროგრამა შემდეგი სამი წლისათვის

"ელკანას" სამოქმედო პროგრამის შესახებ ისაუბრა თამაზ დუნდუამ. მან აღნიშნა, რომ "ელკანა" უკვე რამდენიმე თვეა ემზადება განვითარების ახალ ეტაპზე გადასასვლელად - შემუშავდა ორგანიზაციული მოწყობის ახალი სტრუქტურა (დანართი 1), განისაზღვრა "ელკანას" სამომავლო ხედვა

და სტრატეგიული მიზნები, მომზადდა და დონორებს გაეგზავნა ახალი პროექტის განაცხადი, სადაც აისახა "ელკანას" წევრ ბიომეურნეთა ის საჭიროებები და სურვილები, რომელთა შესახებ ჯერ კიდევ III ყრილობაზე იყო საუბარი.

თამაზ დუნდუამ ყრილობის მონაწილეებს დაწვრილებით გააცნო "ელკანას" სტრატეგიული მიზნები 2003-2006 წლებისათვის:

1. სოფლის მოსახლეობა აგვარებს საკუთარ პრობლემებს და მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

თანამონაწილეობითი მეთოდების გამოყენებით "ელკანა" ხელს შეუწყობს მდგრადი ჯგუფების ჩამოყალიბებას სოფლებში აქტიური და სოფლის ნდობით აღჭურვილი პირებისაგან, რომელთაც სათანადო უნარ-ჩვევები აქვთ და ეფექტურად მუშაობენ. აქვე აღინიშნა, რომ პრიორიტეტი ენიჭება იმ რეგიონებს, სადაც ბიომეურნეთა რაოდენობა მეტია.

შედეგად - აქტიური ჯგუფები ჩამოყალიბდება 10 სოფელში, რომლებიც სოფლად არსებული პრობლემების მოგვარებაზე იმუშავენ და მცირე გრანტების დახმარებით განხორციელებულია 10 პროექტი; ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა გაიცნობს და გამოიყენებს თანამონაწილეობით მეთოდებს.

2. მდგრადი ბიოფერმერობა აღიარებულია და პრაქტიკაში ინერგება, როგორც ალტერნატივა სოფლად;

ამ მიზნის მისაღწევად "ელკანა" აპირებს ხელი შეუწყოს: ბიომეურნეობის შესახებ ცოდნის გავრცელებას კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებში (ფერმერები, აგრარული ფაკულტეტის სტუდენტები და სხვ.); წარმატებული მოდელების დემონსტრირებას; სამიზნე რაიონებში ბიომეურნეობის განვითარებისათვის გარემოს შექმნას.

შედეგად - 500 ადამიანი, მათ შორის 6 რაიონის მმართველობა, ინფორმირებული იქნება ბიომეურნეობის უპირატესობის შესახებ; დამუშავდება ბიომეურნეობის 9 მოდელი და თვითეულ სამუშაო რეგიონში ორი მანძი დაინერგება; სავარაუდოდ, 700 ფერმერი გაეცნობა ბიომეურნეობის უპირატესობას და 300-მდე გაწევრიანდება "ელკანაში".

3. წევრი ფერმერები მეტ სარგებელს ღებულობენ ბიოფერმერობისაგან

"ელკანა" ხელს შეუწყობს: საქართველოში ბიო-ბაზრის ჩამოყალიბებას; საქართველოში და სამხრეთ კავკასიაში სერტიფიცირების სამსახურის ჩამოყალიბებას; პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციისათვის რეგიონულ და რეგიონათაშორის თანამშრომლობას; ადგილებზე დამატებითი შემოსავლის შექმნას პროდუქტების გადამამუშავებისა და დაფასოების გზით; ფერმერთა საჭიროებებზე ორიენტირებული მოქნილი სამრჩევლო სამსახურის შექმნას; ადგილობრივი ჯიშების მდგრად გამოყენებას მათი ეკონომიკური პოტენციის განვითარების გზით.

შედეგად - 2005 წლისათვის ბიოპროდუქციის ბაზრობები უკვე რეგულარული გახდება (წელიწადში სულ მცირე 4); 2004 წლიდან 3 მაღაზიაში გაიყიდება ბიოპროდუქცია; 2004 წლისათვის საქართველოში სერტიფიცირების სამსახურიც ამოქმედდება და 2005 წლის ბოლომდე სერტიფიცირებული იქნება 50 ბიომეურნეობა და 3 ბიოპროდუქტი; გეგმაშია, რომ 2005 წლის ბოლომდე კავკასიაში წარმოებული 2 სახის ბიოპროდუქტი, მათ შორის ერთი საქართველოდან, გაიყიდება საერთაშორისო ბაზარზე. 2005 წლის ბოლომდე 5 მცირე გადამამუშავებელი/დაფასოებელი საწარმოს ჩამოყალიბებაა განსაზღვრული; 5 ფერმერი მომზადდება მრჩევლად და 2004 წლის ბოლომდე 2 საცდელი რეგიონული მომსახურეობის ცენტრი ჩამოყალიბდება; 2005

წლისათვის იშვიათი ადგილობრივი ჯიშის 1 პროდუქტი მაინც იქნება განთავსებული ბაზარზე.

4. საზოგადოებას და ხელისუფლებას გაცნობიერებული აქვს ბიოფერმერობის მნიშვნელობა;

ამ მიზნის მიღწევას "ელკანა" აპირებს ფართო საზოგადოებაში ბიოაგროწარმოების პროპაგანდითა და რეკლამირებით, აგრეთვე, სათანადო ინფორმაციის მოძიებისა და გავრცელებისათვის საინფორმაციო სამსახურებთან/ქსელებთან (ადგილობრივ და საერთაშორისო) აქტიური თანამშრომლობით.


შედეგად - ვგარაუდობთ, რომ ქვეყანაში ძალაში შევა ბიომეურნეობის განვითარების ხელშემწყობი კანონები; "ელკანა" ჩართული იქნება და თავის წვლილს შეიტანს აგრარულ/ფერმერთა უფლებების დაცვის საკითხებში, რათა ქვეყანაში სათანადო პოლიტიკის განვითარებას შეეწყოს ხელი; "ელკანას" თანამშრომლებისათვის ხელმისაწვდომი იქნება ინფორმაცია საერთაშორისო ტენდენციების შესახებ აგრარულ და გარემოსდაცვით სფეროში; გაიზრდება საზოგადოების გათვითცნობიერება დ ინტერესი ბიოაგროწარმოების მიმართ.

5. "ელკანას" ორგანიზაციული მდგრადობა გაზრდილია

"ელკანა" გეგმავს ორგანიზაციული მდგრადობისა და ფინანსური ბაზის გაძლიერების უზრუნველყოფასა და ორგანიზაციის გადაყვანას საპროექტო მიდგომიდან პროგრამულზე.

შედეგად - გამგეობის მუშაობა უფრო ეფექტური და ნაყოფიერი იქნება; უზრუნველყოფილი იქნება ორგანიზაციის შეუფერხებელი და ეფექტური მართვა; შემუშავებული და დაცული იქნება სათანადო მმართველობითი, ადმინისტრაციული და ფინანსური პოლიტიკა და რეგულარული მონიტორინგი ყველა დონეზე მართვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდება; თანამშრომლები უზრუნველყოფილი იქნებიან ტექნიკური საშუალებებით; "ელკანასათვის" ხელმისაწვდომი იქნება ადგილობრივი და საერთაშორისო ფინანსური წყაროები, ამასთან "ელკანა" ითანამშრომლებს სხვა ორგანიზაციებთან და თავის მომსახურებას გაყიდის, რაც გაზრდის ორგანიზაციის შემოსავლებს; ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს არსებული პროგრამის კარგად ფუნქციონირებას და საკმარისად მოქნილი დამატებითი პროექტების პროგრამაში ინტეგრირებისათვის; გაუმჯობესდება კოორდინაცია "ელკანას" სამსახურებს შორის.

თამაზ დუნდუამ აღნიშნა, რომ "ელკანა" ფერმერთა ასოციაციაა და მისი ძირითადი მიზანი, რა თქმა უნდა, ბიომეურნეობის საქმიანობის ხელშემწყობა და მათი სარგებლის ზრდაა. სწორედ ამიტომ, ორგანიზაციამ თავის შემდგომ 3-წლიან პროგრამაში კომპლექსური მიდგომა აირჩია, რაც კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილ სქემაზე:



დისკუსია

კითხვა: ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით საცდელი ნაკვეთების მოწყობა რატომ არ არის გათვალისწინებული?
 პასუხი: სტრატეგიული დაგეგმვის სემინარზე გადაწყდა, რომ "დიკა" შემოვა "ელკანას" ქოლგის ქვეშ, აქედან გამომდინარე დონორებისთვის გაგზავნილ პროექტის განაცხადში ეს საკითხი გათვალისწინებულია.

კითხვა: არის თუ არა გეგმაში ლაბორატორიის შექმნა?
 პასუხი: ლაბორატორიას ჩვენ ვერ შევქმნით, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში სინჯების ანალიზი გაკეთდება რომელიმე ლაბორატორიაში.

კითხვა: მწარმოებელი ჯგუფების ხელშეწყობის შესახებ უფრო დაწვრილებით აგვისსენით
 პასუხი: მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ფერმერებმა განგდეს რა ინდივიდუალური მეწარმეების ეტაპი, გადავიდნენ გაერთიანებების ჩამოყალიბებაზე. ეს დღეს აპრობირებული მოდელია – აღიარებულია, რომ ფერმერული მეურნეობის შემოსავლის მომტან საწარმოდ გარდაქმნა კოოპერირების გარეშე ძალიან ძნელია. რას შეეხება ასეთი ჯგუფების ჩამოყალიბების და მათი საქმიანობის სტიმულირების მეთოდებს, ამ საკითხი ჯერ კიდევ დასახვეწია, რაზეც უკვე ვმუშაობთ.

კითხვა: რა იგულისხმება შიდა და გარე ბაზრის ხელმისაწვდომობაში?
 პასუხი: საქართველო იმ ქვეყანების რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც მსოფლიო ბაზარს პროდუქციის ოდენობით ვერ გააკვირვებს. საგარეო ბაზარზე გასვლა საქართველოს შეუძლია ბიო- და ნატურალური პროდუქციით. უკვე რეალურია ამ პროდუქციის გატანა, ნიმუშები უკვე გაიგზავნა ინგლისში და მოწონებაც დაიმსახურა. ასეთი პროდუქცია დიდი რაოდენობით შეიძლება ვერ გავიტანოთ, მაგრამ სამაგიეროდ უფრო ძვირია. შიდა ბაზრის ათვისების გარკვეული გამოცდილება უკვე გვაქვს, მაგრამ ბაზრობის მოწყობის საკითხი დასახვეწია და ამის შესახებ კიდევ გვექნება საუბარი.

კითხვა: რას ნიშნავს ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა?
 პასუხი: მოგესსენებათ, რომ ტექნოლოგიები ძვირია და ამის გათვალისწინებით ვაპირებთ ფონდის შექმნას, რომელიც მცირე გადამამუშავებელი საწარმოების ჩამოყალიბებასა და ტექნოლოგიებით უზრუნველყოფას შეუწყობს ხელს. ფონდის მიერ თანხის გაცემის მექანიზმი ჯერ კიდევ დასახვეწია, მაგრამ ეს არ იქნება თანხის ჩუქება, უფრო სავარაუდოა, რომ დაბრუნება მოხდება ლიზინგის ფორმით. 2005 წლის ბოლომდე 5 ასეთი საწარმოს შექმნას ვფიქრობთ.

კითხვა: მტკივნეული საკითხია პროდუქციის გადამუშავებისა და შენახვის საკითხები, აგრეთვე ბიოპრეპარატებით უზრუნველყოფა; ამ საკითხების მოგვარების პერსპექტივებზე რას ფიქრობთ?

პასუხი: სასაწყობო მეურნეობების შექმნა ძალზე მნიშვნელოვანია და ამ მიმართულებითაც ფიქრობთ; ამ საკითხის მოგვარებისათვის შესაძლებელია დამატებითი გრანტების მოზიდვაზე ვიმუშაოთ. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი იქნება ფერმერთა გაერთიანებების მოთხოვნები. რაც შეეხება ბიოპრეპარატების შემოტანას, ამ მიმართულებით ურთიერთობები გვაქვს რუსეთთან, გერმანიასთან და ფიქრობთ, რომ მომავალში უფრო ინტენსიურად ვიმუშავებთ.

კითხვა: ძალიან გული მწყდება, რომ ჩემი ბიოპროდუქცია ერევა სხვა პროდუქციას და ვერ დავინტერესე მყიდველი; თუ შეუძლიათ ამ მიმართულებით დახმარების გაწევა?

პასუხი: პროდუქციის ხარისხით მყიდველის დაინტერესებისა და დარწმუნებისათვის აუცილებელია შესაბამისი სერტიფიკატის არსებობა. ამ საკითხზე უკვე დიდი ხანია ვმუშაობთ და გარკვეული წარმატებებიც გვაქვს – დაფინანსდა პროექტი, რომელიც გულისხმობს საქართველოში ბიოპროდუქციის სერტიფიცირების სამსახურის ჩამოყალიბებას. ამ სამსახურის მიერ გაცემული სერტიფიკატი ბიომეურნეს საშუალებას მისცემს საკუთარი პროდუქცია განსხვავებული სტატუსითა და ფასით გაყიდოს.

კითხვა: აქ ითქვა, რომ მოხდება რეგიონებში მუშაობის გაფართოება, მაგრამ როგორ მოხდება საკითხების შერჩევა, რა კრიტერიუმებით ან მეთოდით?

პასუხი: ცალსახად ჩვენ გადაწყვეტილებას ვერ მივიღებთ, ინიციატივა უნდა მოდიოდეს რეგიონებიდან; მრჩეველმა უნდა იმუშაოს რეგიონალურ ჯგუფებთან, მათთან ერთად გამოავლინოს პრიორიტეტები. რაც შეეხება მეთოდებს და პროცედურებს, აუცილებლად ვიმუშავებთ და დამტკიცდება გამგეობაზე.

აზრი გამოთქვას:

ნანა ნემსაძემ: თამაზ ღუნდუას გაგაცნოთ დონორებთან წარდგენილი პროგრამის გეგმა. იმის მიხედვით, თუ რა ნაწილი დაფინანსდება, მოხდება ამ პროგრამის დეტალური დამუშავება და გამგეობისთვის წარდგენა. რაც შეეხება სამეწარმეო და საერთოდ კომერციული საქმიანობის ხელშეწყობას, მოგესხვებათ, რომ "ელკანა" არაკომერციული ორგანიზაციაა, მაგრამ თუ ინიციატივა წამოვა თქვენგან ანუ ბიომეურნეებისაგან, ჩვენ ხელს შევიწყობთ ნებისმიერი კომერციული საწარმოს შექმნაში. იგივე პოზიცია გვაქვს პრეპარატების, თესვების და სხვა საშუალებების შემოტანაზეც – ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ მოხდეს ბიომეურნეების უზრუნველყოფა მცენარეთა დაცვის საშუალებებით, მაგრამ უშუალოდ ჩვენ ვერ შემოვიტანთ – ეს უნდა მოხდეს რომელიმე კომერციული სტრუქტურის მიერ. ჩვენი მხრიდან, შევეცდებით ხელი შევუწყოთ თქვენ ნებისმიერ ინიციატივას – მოვაწყობთ ფერმერთა დღეები, შეკრებები, გავგზავნოთ ბიომეურნეები პრაქტიკებზე, შევხვდეთ ბიზნესმენებს და სხვ. მართალია, "ელკანა" ჯერ-ჯერობით მთლიანად დამოკიდებულია დონორების მიერ გამოყოფილ დაფინანსებაზე, მაგრამ აუცილებელია, რომ ორგანიზაციას შეეძლოს თავის შენახვა და გარკვეული სტაბილურობის მიღწევა – ამ საკითხზე ერთად უნდა ვიფიქროთ და ვიმოქმედოთ.

თემურ დოლობერიძე: საფრანგეთში ახალგაზრდა ბიომეურნეების გაგზავნით ძალზე სასარგებლო და საჭირო საქმე გაკეთდა, მაგრამ საქართველოშიც ხომ გვყავს არანაკლებ გამოცდილი ფერმერები – ჩვენც გავცვალოთ შვილები და გადავცეთ მათ ჩვენი ცოდნა. ჩვენც არ გვაწყენდა სწავლა – მე თვითონ სიამოვნებით ვისწავლიდი წველების წარმოებას, სხვას კი მეფუტკრეობას ვასწავლიდი. ამ მიმართულებითაც საჭიროა ფიქრი.

ვიოლეტა კუცია: ორი წელია, რაც ჩემს მეურნეობაში პრაქტიკას გადიან სტუდენტები, ვაკვირდები მათ და გული მწყდება, რომ ახალგაზრდობა მხოლოდ იმიტომ აბარებს აგრარულ ფაკულტეტზე, რომ იქ სწავლა უფასოა,

მათ არ აინტერესებთ ჩვენი საქმიანობა. პრაქტიკას მაშინ ექნება შედეგი, თუ სტუდენტები მხოლოდ ჩათვლისათვის კი არ მოვლენ ჩვენთან, არამედ სწავლის ინტერესი ექნებათ.

აკაკი ჩუბინიძე: ჩვენ ყველანი სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ვართ და ინტერესმოკლებული არ იქნება თქვენთვის სოფელ ერედაში, საცდელ ნაკვეთებზე ჩატარებული ცდების შედეგების გაცნობა. ყველას კარგად მოეხსენება, თუ რა მნიშვნელობა აქვს თესლბრუნვას სოფლის მეურნეობაში. თესლბრუნვის სქემები ყველა რეგიონისათვის არსებობს, მაგრამ ის გათვლილია დიდ ფართობებზე. მე გადავწყვიტე ეს სქემები მომერგო წვრილი ფერმერული მეურნეობისათვის. ამ მიზნით ჩავატარეთ ექსპერიმენტი, რომლის მიზანი იყო ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება და ფერმერების ხელშეწყობა, რათა მათ აწარმოონ ყველა სახის ბიოპროდუქტი. ცდის პროცესში ვიყენებდი ორწლიან ბალახებს და სქემაში ჩავრთე ნაკელიც. გვაქვს ოთხი წლის მონაცემები და უნდა მოგახსენოთ, რომ შედეგი კარგია – ნიადაგის სტრუქტურა გაუმჯობესდა და მოსავლიანობაც შენარჩუნებულია. თუ დაინტერესდებით ჩვენი სქემით, მობრძანდით და დაათვალიერეთ. ვინაიდან ყველა რეგიონისათვის გვაქვს შესაბამისი სქემები, ეჭვი არ შეპარება თვითუფლი თქვენგანი მისთვის საინტერესო ინფორმაციას მიიღებს.

.ინფორმაცია ბაზრობების შესახებ

ბიოპროდუქციის ბაზრობების მოწყობის თაობაზე ისაუბრა "ელკანას" მარკეტინგის სამსახურის თანამშრომელმა ირაკლი ჯავახიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ბიოპროდუქციის გასაღების ხელშეწყობა "ელკანას" ერთ-ერთი სამომავლო სტრატეგიაა. ჩასატარებელ ღონისძიებებს შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანის - ბაზრობების ჩატარების სტრატეგიაში იგულისხმება, როგორც ბაზრობების რეგულარობისა და თვითანაზღაურებადობის, ისე პროდუქციის მრავალფეროვნებისა და რაოდენობის გაზრდის მიღწევა.

ირაკლი ჯავახიშვილმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ "ელკანას" ბაზრობები არამარტო პროდუქციის გასაღების საშუალებაა, არამედ - სარეკლამო, საპოპულარიზაციო და პროდუქციის საქართველოს ბაზარზე დამკვიდრების ეფექტური საშუალებაცაა. "ელკანას" სახელისა და იმიჯის გამოყენება, ბაზრობის რეგულარობა და თვითდაფინანსებაზე გადასვლა - წარმოადგენს იმ "ღერძს", რომელზეც აიგება შემდგომი ღონისძიებები - კუთხე სუპერმარკეტში, შეკვთვები, სერტიფიცირება და ა. შ. წინა ბაზრობების გამოცდილების გათვალისწინებით მომხსენებელმა განაცხადა, რომ გამოიკვეთა ბიომეურნეობის მცირე ჯგუფი, რომელსაც ამ ღონისძიებებში აქტიურად ჩართვის სურვილი აქვს; ირაკლი ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია ამ ინიციატივის ხელშეწყობა – 10-კაციანი საინიციატივო ჯგუფის ჩამოყალიბება, რომელზედაც ეტაპობრივად გადავა ბაზრობების ორგანიზების ფუნქციები. მან ბიომეურნეებს შესთავაზა მონაწილეობა მიეღოთ საინიციატივო ჯგუფის მუშაობაში და თავისი მოსაზრებები "ელკანას" ოფისში 20 დეკემბრამდე მიეწოდებინათ. მომხსენებელმა აგრეთვე ისაუბრა ბაზრობების მდგრადობისა და თვითდაფინანსების მისაღწევ ღონისძიებებზე - მან შესთავაზა ბიომეურნეებს სიმბოლური გადასახადის (3 ლარი) დაწესება. ამასთან აღნიშნა, რომ ეს თანხა, ბაზრობის რეალური ხარჯების ძალზე მცირე ნაწილს შეადგენს და ბაზრობის თვითდაფინანსების მიღწევის მხოლოდ საწყისი ეტაპი იქნება.

მომხსენების ბოლოს, ირაკლი ჯავახიშვილმა ბიომეურნეებს აცნობა, რომ 2002 წლის 28-29 დეკემბრისათვის "ელკანას" გეგმავს საახალწლო ბაზრობის ჩატარებას ვაჟა-ფშაველას გამზირზე, არქივის წინ.

დისკუსია:

კითხვა: თუ ორი 5-კაციანი ჯგუფი ჩამოყალიბდება, შევძლებთ ბაზრობის გაკეთებას? პასუხი: ათი მსურველი თუ შეგროვდება, დავსხდეთ ერთად და გათვლა გავაკეთოთ: რა მოთხოვნაა? რა რესურსები გვაქვს? რომელი პროდუქტი შეგვიძლია შევთავაზოთ მყიდველს სისტემატურად? ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება თქვენ კითხვაზე პასუხის გაცემა

კითხვა: თუ ბაზრობა არ მოეწყობა სისტემატურად, ბიოფერმერობა აზრს კარგავს. ჩვენ პროდუქტს გადაწყვიდველს ვაძლევთ და პრაქტიკულად ბიოპროდუქტი იკარგება. რას ფიქრობთ ამის თაობაზე?

პასუხი: გეთანხმებით, რომ ბაზრობები სისტემატურად უნდა ჩატარდეს, მაგრამ ძველ პროექტში ეს საკითხი არ იყო გათვალისწინებული. ახალ განაცხადში ეს საკითხი შესულია და დაფინანსების შემთხვევაში, შემუშავდება ბაზრობების ჩატარების ზუსტი გეგმა და იმის მიხედვით ვიმუშავებთ, მაგრამ დიდი მნიშვნელობა ექნება თქვენ მონდომებასა და ინიციატივას – თუ ბიომეურნეებისაგან შეიქმნება ბაზრობების მოწყობის საინიციატივო ჯგუფი, აქ დასმული საკითხების ძირითადი ნაწილი ამ ჯგუფის მოსაფიქრებელი და გადასაწყვეტი იქნება.

კითხვა: საშობაო ბაზრობის ჩატარება დაგეგმილია 28-29 დეკემბერს; ბიომეურნეების ნაწილი საკმაოდ შორიდან ჩამოდის და შეიძლება 2 დღეში არ გაიყიდოს პროდუქტი. თუ შეიძლება ერთი დღის ანუ 30 დეკემბრის დამატებაც?

პასუხი: ამ საკითხის გადაწყვეტა აქვე უნდა მოხდეს, თუ ყველა ბიომეურნის სურვილია, შეიძლება ერთი დღის დამატება.

საორგანიზაციო საკითხები

ყრილობის დღის წესრიგში საორგანიზაციო საკითხებიც შედიოდა, კერძოდ, "ელკანას" წესდებაში ცვლილებების შეტანა და ახალი გამგეობის არჩევა.

დევი გამრეკელმა ყრილობის მონაწილეებს გააცნო ახალი წესდების პროექტი და აღნიშნა:

"ელკანას" ორგანიზაციული განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლა წესდებაში ცვლილებების შეტანას მოითხოვს. ჩვენ მივმართეთ იურისტს, რომლის რეკომენდაციების საფუძველზე შეიქმნა წესდების ახალი პროექტი. აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს უფრო დემოკრატიული მეთოდების დანერგვას ასოციაციის მართვაში.

თქვენ უნდა განიხილოთ აღნიშნული პროექტი და გამოთქვათ თქვენი მოსაზრებები. ყრილობის მონაწილეები დაიყოფიან 4 ჯგუფად, იმუშავებენ წესდების შესაბამის ნაწილზე და წარმოადგენენ თავის მოსაზრებებს.

ნანა ნემსაძემ გააკეთა კომენტარი: დევმ უკვე ბრძანა, რომ ჩვენი მიზანია წესდება რეალურად იყოს განხილული და გააზრებული ბიომეურნეების მიერ. ამასთან, გთხოვთ გაითვალისწინოთ დღეს ტრილობაზე დასმული სხვა საკითხებიც და გამოთქვათ თქვენი მოსაზრებები. კერძოდ, პრაქტიკის ჩატარების საკითხი – ვინ არის მზად მიიღოს პრაქტიკანტი ან თვითონ გახდეს შეგირდი. ამასთან, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი მოსაზრება "ელკანას" სამომავლო სტრატეგიების შესახებ.

ყრილობის მონაწილეებმა 4 ჯგუფში განიხილეს წესდების პროექტი და წარადგინეს თავისი შენიშვნები.

I ჯგუფი

მოდერატორი ვანო ლოლაძე

კომენტარები მუხლი 3

3.5 საწვერო გადასახადის დადგენის კრიტერიუმები განისაზღვროს წესდებით

გამგეობა

4.2.2 თუ ასოციაციას კომერციული საქმიანობის უფლება არა აქვს, ვერ ჩაერევა კომერციული სტრუქტურის საქმიანობაში. ჩამატოს, რომ საწარმოს დირექტორის დანიშვნა-გადაყენება ხდება ფერმერთა ჯგუფის მიერ

-რას ნიშნავს რაიონების ნუსხის განსაზღვრა?

! შესწორებული წესდება მიიღოს ყველა წევრმა.

4.2.1 საერთო კრებას უფლება აქვს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე (3 წელის) აუცილებლობის შემთხვევაში შეცვალოს გამგეობის წევრები.

II ჯგუფი

მოდერატორი- იაგო ბიტარიშვილი

3.5 ყოველწლიურად გადაიხადოს გადასახადი გამგეობის მიერ დადგენილი წესით

4.1.2 საერთო კრება აგრეთვე შეიძლება მოწვეული იქნეს წევრთა საერთო რაოდენობის 1/3-ის მოთხოვნით.

4.1.4 დელეგატების საერთო კრებაზე წარსადგენად განსაზღვრავს რაიონული კრება.
4.1.8

ა) ყრილობა არ ადგენს ანაზღაურების ოდენობას.

III ჯგუფი

მოდერატორი- ბესო კალანდაძე

შენიშვნები

3.6.1 თუ გამგეობა იხილავს ბიომეურნის მიღებას, მაშინ გამგეობამ გადაწყვიტოს წევრის ყოფნა-არყოფნის შესახებ;

3.6.2. წევრს, რომელიც საწევრო მოსაკრებელს დროულად გადაუხდელობის გამო კარგავს წევრობას, მიეცეს უფლება 1 წლის შემდეგ აღიდგინოს წევრობა მოსაკრებლის გადახდის გზით;

4.2.2. უნდა იყოს საწარმოს ხელმძღვანელი (დაინიშნოს) აირჩეს ბიოფერმერთა გაერთიანების მიერ;

(რომლებიც არიან საწარმოს წევრები)

დამატება

დასამატებელია 4.2.2 გაგეობა ამტკიცებს სტანდარტებს;

3.7 როდესაც არღვევს "ელკანას" დადგენილ სტანდარტებს

-ჩამოყალიბდეს ბიოფერმერთა საკრედიტო კავშირები

-ჩამოყალიბდეს გრძელვადიანი საკრედიტო სისტემა

-კრედიტის პროცენტის დაფარვა მოხდეს გარკვეულიდროის შემდეგ (ერთი წლის შემდეგ)

IV ჯგუფი

7.12.02.

მოდერატორი- ალექო კურტანიძე

შენიშვნა

4.1.5 გადავიდეს შესწორებული რედაქციით;

4.1.8.

ა) ამოვიდეს "გამგეობის თავჯდომარის არჩევა";

დამატება

3.1.2. შესწორდეს:

ასოც. გაწევრიანების მსურველი პირი იხდის . . .

3.4.2. დაემატოს აქ 3.4.3-ით ასოციაციის წევრს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის მიერ მოწყობილ ყველა საერთო ღონისძიებაში;

3.5.2. დაიცვას ასოციაციის წესდებით დადენილი სამართებლივი ნორმები

3.6 ასოც. წევრების უფლებამოსილების შერჩევა ხდება გამგეობის მიერ;

3.7.2 ამოღებული იქნას სიტყვა "უხეში"

წესდების ახალი პროექტი, ცვლილებების გათვალისწინებით, დამტკიცდა ხმათა უმრავლესობით.

ცვლილებები ბაზემოების შეადგენლობაში

ახალი წესდების შესაბამისად, გამგეობის არჩევა ხდება 3 წლის ვადით, მაგრამ ყრილობას უფლება აქვს წელიწადში ერთხელ შეცვალოს გამგეობის წევრთა 30 %. ასევე ახალი წესდების მოთხოვნის შესაბამისად, გამგეობის წევრთა რაოდენობა გაიზარდა 7-იდან 9-მდე.

წინა ყრილობაზე არჩეული გამგეობის შემადგენლობამ განიცადა ცვლილებები: რადგანაც, დევი გამრეკელი იმუშავებს სერტიფიცირების პროექტში, იგი გადადგა გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობიდან. ჯაბა ებანოიძემ დროის უქონლობის გამო უარი თქვა გამგეობაში მუშაობაზე.

ყრილობის მონაწილეების აზრით სასურველია ახალი გამგეობის შემადგენლობაში დარჩნენ წინა ყრილობაზე არჩეული გლეხები – მათ შეიძინეს ცოდნა და მართვის გამოცდილებაც მიიღეს.

ვინაიდან წინა ყრილობამ გამგეობის შემადგენლობაში აირჩია 5 გლეხი, ხოლო ახალი გამგეობა 9 წევრისაგან უნდა შედგებოდეს, დამატებითი 4 წევრი შეირჩა "ელკანას" სტრატეგიული დაგეგმვის სემინარზე განსახდევრული კრიტერიუმებით (გამგეობის შემადგენლობაში ქალების შეყვანა, გაძლიერება პროფესიონალებით).

ყრილობის მონაწილეებმა დაამტკიცეს ახალი გამგეობა შემდეგი შემადგენლობით:

1. ოთარ ფოცხვერაშვილი - ქართლი, ბიომეურნე
2. მურად გოგოლაძე - მესხეთ-ჯავახეთი, ბიომეურნე
3. რეზო ჭეიშვილი - გურია, ბიომეურნე
4. ფარნავაზ გოგოსაშვილი - კახეთი, ბიომეურნე
5. რეზო ცხადაია - სამეგრელო, ბიომეურნე
6. სოფიო შუბლაძე - თბილისი, ფსიქოლოგი, არასამთავრობო ორგანიზაცია - პარტნიორები საქართველოსთვის
7. დელა შათირიშვილი - თბილისი, ინგლისური ენის სპრციალისტი, არასამთავრობო ორგანიზაცია - მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია
8. ზურაბ კარბელაშვილი - თბილისი, ბიოლოგი, არასამთავრობო ორგანიზაცია - სოციალური თერაპიის ცენტრი
9. გრიგოლ ჩორგოლაშვილი - თბილისი, ტექნოლოგი, აგრარული უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობის პროდუქციის შენახვისა და ტექნოლოგიის კათედრის დოცენტი

სარეზერვო კანდიდატები:

1. გიგი წიკლაური - ქართლი, ბიომეურნე
2. აკაკი ღლონტი - გურია, ბიომეურნე
3. ნოდარ გაიპარაშვილი - კახეთი, ბიომეურნე

4. თეიმურაზ ლოლობერიძე - იმერეთი, ბიომეურნე
5. ვახტანგ გოგუაძე - ბათუმი, პროფესორი, აჭარის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგროეკოლოგიის კათედრის გამგე

ყრილობის მონაწილეების მიმართვა პარლამენტისადმი

ყრილობის მონაწილეების მოსაზრებების საფუძველზე შემუშავდა ყრილობის მიმართვა საქართველოს პარლამენტისადმი (დანართი 2).


მიმართვის ტექსტი ყრილობის მონაწილეებს ნანა ნემსაძემ გააცნო. მან აღნიშნა, რომ ბიომეურნეობის შესახებ კანონის პროექტი უკვე არსებობს და სავარაუდოდ იგი მალე გავა პარლამენტის სხდომაზე განსახილველად. პარლამენტარების დიდ ნაწილს წარმოდგენა არა აქვს, რა არის ბიომეურნეობა და რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მას საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის. აღნიშნული მიმართვის მიზანია, რომ პარლამენტარები ინფორმირებული იყვნენ "ელკანას" საქმიანობის შესახებ და მომზადებული შეხვდნენ კანონის პროექტის განხილვას.

ასოციაცია "ელკანას" წევრთა IV ყრილობამ ამით დაასრულა თავისი მუშაობა, გამოითქვა მრავალი თბილი გამოსამშვიდობებელი სიტყვა, ყველა მონაწილემ იმედი გამოთქვა, რომ ყრილობაზე დასმული საკითხების დიდი ნაწილი მოგვარდება შემდეგი შეკრებისათვის.

ყრილობის თავმჯდომარე: ნ. ნემსაძე

ყრილობის მდივანი: მ. გიგაური

ელკანას სტრუქტურა



"ელკანას" წევრთა
IV ყრილობის მონაწილეთა

მ ი მ ა რ თ ვ ა

საქართველოს ბიომეურნეთა IV ყრილობის მონაწილენი - მიწათმოქმედები ქვეყნის ყველა კუთხიდან, ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ჩვენს საქმიანობას დიდი წვლილი შეაქვს გარემოს დაცვის საქმეში და ჩვენს მიერ მოწეული პროდუქტები უსაფრთხო და სასარგებლოა მოქალაქეთა ჯანმრთელობისათვის.

აგრო-კლიმატური პირობები და ტრადიციულად ჩამოყალიბებული ადგილობრივი ჯიშების მრავალფეროვნება, საქართველოს საშუალებას აძლევს აწარმოოს ხარისხიანი, ბიოლოგიური პროდუქცია.

ჩვენს მიერ დაფუძნებული ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანა", გვიწევს რა განვითარებაზე ორიენტირებულ სამრჩველო მომსახურებას, მუდმივად ცდილობს ხელი შეუწყოს საქართველოს სოფლის მეურნეობაში ბიოლოგიური მიწათმოქმედების განვითარებისათვის საჭირო ჩარხო-პირობების შექმნასა და გლესთა ინტერესების დაცვას. ჩვენ გვჯერა, რომ ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებაზე დამყარებულ მიწათმოქმედებას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში და ხელი შეუწყოს ჩვენი პროდუქციის გასვლას მსოფლიო ბაზარზე, სადაც მოთხოვნა ასეთ პროდუქციაზე მიწოდებას აჭარბებს. ბიოლოგიურ მეურნეობებში მოყვანილ პროდუქციაზე, განსაკუთრებით ბავშვთა კვების პროდუქტებზე, საქართველოშიც გაჩნდა მოთხოვნილება, რაშიც ჩვენ დავრწმუნდით ჩვენს მიერ მოწყობილი რამდენიმე ბაზრობის დროს. მაგრამ მომხმარებელი თხოულობს გარანტიებს - მის მიერ შეძენილი პროდუქციის წარმოშობის ოფიციალურ დადასტურებას.

დღეისათვის, "ელკანას" წევრთა რაოდენობამ 300-ს მიაღწია და ბიომეურნეობაზე გადასვლის მსურველთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება., თუმცა მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში პრაქტიკულად უკვე იწარმოება ბიოლოგიური პროდუქცია, სახელმწიფოში ჯერ-ჯერობით არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც განსაზღვრავს და დააკანონებს ბიოლოგიური მეურნეობების სტანდარტებს და შეიმუშავებს ბიოლოგიური პროდუქციის წარმოების კონტროლისა და სერტიფიცირების მექანიზმებს.

შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის გარეშე საქართველოს ბიოლოგიურ მეურნეობებში მოყვანილი პროდუქცია კანონიერი სტატუსის გარეშე არსებობს, რაც ხელს უშლის "ბიოლოგიური პროდუქციის" სახელით მის დამკვიდრებას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე.

ამჟამად, საქართველოს პარლამენტში განსახილველად შეტანილია საქართველოს კანონის პროექტი - "ბიოლოგიური აგროწარმოების განხორციელებისა და სერტიფიცირების შესახებ".

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანას" წევრთა IV ყრილობის მონაწილეები საქართველოს პარლამენტს ვთხოვთ აღნიშნული კანონის დროულად მიღებას, რათა ხელი შეეწყოს საქართველოში ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის განვითარებასა და მის ოფიციალურ აღიარებას.

ჩვენი ასოციაციის მიზნების ფარგლებში, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანას" წევრები, მზად ვართ ვითანამშრომლოთ სახელმწიფო სტრუქტურებთან, აგრეთვე, დაინტერესებულ პირებთან და ორგანიზაციებთან.

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანას"

IV ყრილობის მონაწილეების სახელით
"ელკანას" გამგეობა